

მოდული
იტალიის საელჩოს საქართველოში
ჩიტადის ქ. 3ა
0108 თბილისი
საქართველო

საგანი: სპონსორობის შეთავაზება იტალიის ეროვნული დღისადმი მიძღვნილ
წვეულებაზე.

მე, ქვემოთ ხელისმომწერი -----,
-----ის (მისამართი: ----- ,

ტელ. -----) უფლებამოსილი წარმომადგენელი ვაცხადებ, რომ

- გავეცანი განაცხადს “იტალიის ეროვნული დღისადმი მიძღვნილი წვეულების დაფინანსების თაობაზე”;
- ვეთანხმები აღნიშნული შეტყობინებით განსაზღვრულ ყველა პირობას;
- ვაცნობიერებ, რომ სპონსორობა გულისხმობს ქვემოთ ჩამოთვლილი პროდუქტების გადაცემას, ან ქვემოთ მითითებული თანხის გადარიცხვას;

და გთავაზობთ გავხდე სპონსორი განაცხადში გაწერილი მიზნების მისაღწევად და შესაბამისად ვხდები პასუხისმგებელი მივიღო ღონისძიებაში შემდეგი სახით მონაწილეობა:

წინამდებარე დაფინანსების წინადადება გაგზავნილია ელ. ფოსტის შემდეგ მისამართზე: primosegr.tbilisi@esteri.it. თან ვურთავ ჩემი პირადობის დამადასტურებელ მოქმედ დოკუმენტს.

ადგილი, თარიღი

ხელმოწერა

**ინფორმაცია ფიზიკურ პირთა პერსონალური მონაცემების
დამუშავებისა და დაცვის შესახებ
რეგულაცია (UE) 2016/679, მუხლი. 13**

პერსონალური მონაცემების დამუშავება, ფიზიკურ პირთა ძირითადი უფლებებისა და თავისუფლების დაცვის მიზნით, ეფუძნება კანონიერების, კორექტულობის და გამჭვირვალობის პრინციპებს. ამ მიზნით მოცემულია შემდეგი ინფორმაცია:

1. მონაცემებს გამოიყენებს იტალიის საგარეო საქმეთა და საერთაშორისო თანამშრომლობის სამინისტრო (MAECI), კონკრეტულ შემთხვევაში კი საქართველოში იტალიის საელჩოს (ჩიტაძის ქ. 3, 0801 თბილისი, საქართველო, ელ. ფოსტა: embassy.tbilisi@esteri.it, ტელ. +995 32 2996418).
2. იტალიის საგარეო საქმეთა და საერთაშორისო თანამშრომლობის სამინისტროს ჰყავს პერსონალური მონაცემების დაცვის ოფიცერი, რომელსაც კითხვების ან პრეტენზიების შემთხვევაში შეგიძლიათ დაუკავშირდეთ შემდეგ მისამართზე: Piazzale della Farnesina 1, 00135 ROMA, tel. 0039 06 36911 (centralino), e-mail: rpd@esteri.it; pec: rpd@cert.esteri.it.
3. მოთხოვნილი პერსონალური მონაცემები აუცილებელია ეკონომიკური ოპერატორის შესარჩევად, რომელთანაც გაფორმდება ხელშეკრულება.
4. მონაცემთა გადაცემა სავალდებულოა იტალიის კანონმდებლობით და მის გადაცემაზე უარის მიღება გამოიწვევს მონაწილის შერჩევის პროცესიდან გამორიცხვას.
5. მონაცემების დამუშავება განხორციელდება ხელით ან ელექტრონულად სპეციალურად გამოყოფილი პერსონალის მიერ.
6. ინფორმაცია გადაეცემა იტალიის საგარეო საქმეთა და საერთაშორისო თანამშრომლობის სამინისტროს შიდა და გარე კონტროლის ორგანოებს. წინამდებარე დოკუმენტზე ხელმოწერით დაინტერესებული მხარე თანხმობას აცხადებს აღნიშნული მონაცემების ადგილობრივ კომპეტენტურ ორგანოებზე გადაცემასთან დაკავშირებით, მათი გამომწვევის მიზნით. ასევე საჯარო ხელშეკრულებების გამჭვირვალობის შესახებ იტალიური კანონმდებლობის შესაბამისად, თანახმაა ხელშეკრულების ძირითადი მონაცემები გამოქვეყნდეს დამკვეთის საიტზე.
7. მონაცემები ინახება სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულების, შეუსრულებლობის ან სხვა მიზეზით დასრულებიდან მაქსიმუმ 5 წლის განმავლობაში. აღნიშნული ვადა შექერდება სასამართლო პროცესის დაწყების შემთხვევაში.
8. დაინტერესებულ მხარეს შეუძლია მოითხოვოს საკუთარ პერსონალურ მონაცემებზე წვდომა და მათი განახლება. ამისთვის მან უნდა წარადგინოს კონკრეტული მოთხოვნა პუნქტში №1 მითითებულ მისამართებზე და აცნობოს იტალიის საგარეო საქმეთა და საერთაშორისო თანამშრომლობის სამინისტროს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერს პუნქტში №2 მითითებულ მისამართზე.
9. თუ ფიქრობთ, რომ თქვენი უფლებები დაირღვა, შეგიძლიათ მიმართოს საჩივრით იტალიის საგარეო საქმეთა და საერთაშორისო თანამშრომლობის სამინისტროს მონაცემთა დაცვის ოფიცერს. ასევე შეგიძლიათ მიმართოთ პერსონალურ მონაცემთა გარანტორს (Piazza di Monte Citorio 121, 00186 Roma, tel. 0039 06 696771 (centralino), e-mail: garante@gpdp.it, pec: protocollo@pec.gpdp.it) ან სასამართლო ორგანოს.

ადგილი, თარიღი:

გავეცანი და ვეთანხმები
(დაინტერესებული პირის ხელმოწერა)
